



MARRIOTT
TBILISI

COURTYARD®
Marriott.

№ 27

MERAB ABRAMISHVILI

*What Are You Painting, Merab?
- I do not know -*

GEORGIAN MOUNTAINS,
LEGENDS AND REALITY

SWAN MASTER

Nino Ananiashvili



What Are You Painting, Merab? - I do not know...

” When Merab Abramishvili’s paintings were sent to be exhibited in France, Germany, Poland, and Austria, many visitors were returning to see his stunning works several times and used to fall in love with them instantly, saying that “this asceticism breaks every rule, and in order to feel the paintings as the artist thinks of it, you have to be a little bit more than a simple human...” “



– “Merab, what are you painting?” – “I do not know...” – This was his unchanging answer to that question...

Everyone who has ever visited his studio, remembers how he would follow the line of a silhouette with his thin brush, how transparent and casual his palette would become when held in his hand, how he would work on details with either aquarelle or tempera – “I am setting the record straight”, he used to say jokingly, and that was true.


They say that he worked a lot, tirelessly...

Abramishvili's paintings are remindful of antique mosaics and Persian miniatures, they do not resemble any other artist's work, they have so much soul and a deep vision of space, that they give much energy to anyone who observes them, they stop the spectators and have a great effect on them. The originality of his art comes from its conceptual or structural relation with Georgian frescoes from the Middle Ages – so many biblical themes have been transposed on his paintings by his “hand's intellect”. “This is what attracts me! The love for

frescoes was transmitted to me by my father, I got acquainted with the Georgian Gold Reserve and iconography in my early childhood thanks to him, and he was also taking me with him in scientific expeditions. One could say that my art imitates religious iconography...” Painters go back and forth to the same themes in their lives, and Merab also had that kind of periods...

“When I was a child, I wanted to train tigers, but I could not make this happen – instead, I make my childhood dreams a reality in my paintings. Apart from that, I was very fond of adventure books as a kid. For me, it included Socrates and Plato. Many people have read these kinds of books, but they have really had an important impact on me. Later, when I became a painter, the impressions from my childhood came back and I started painting animals. In general, I respect animals very much, often even more than humans, so I take much pleasure in painting them.”

When Merab Abramishvili's paintings were sent to be exhibited in France, Germany, Poland, and Austria, many



visitors were returning to see his stunning works several times and used to fall in love with them instantly, saying that “this asceticism breaks every rule, and in order to feel the paintings as the artist thinks of it, you have to do a little more than being a simple human...” – Merab Abramishvili’s archaic realm and the energy coming from his silhouettes affect everyone.

This is how they got to know the Georgian painter in Europe in the 90s, but the first successful adventure of his career was in 1987, when he finished his “300 Aragvians”, a tempera on plywood, with which the artist liberated himself, not only concerning content, but also from a visual point of view – thus attaining his signature formula... Then in 1991, the artist’s house on Rustaveli Avenue caught fire and burned, together with 16 of his paintings. This was a huge tragedy for the painter, one that has stayed as an open wound for the rest of his life... “I have lost 16 children” – he used to say, heartbroken.

“The young generation of the 80s were not coming in protest, they had a clear position... Almost everywhere in the post-soviet world, protests were held in an aggressive way, they were only reflecting the objective reality... Here, it was the contrary, the worst the situation was, the most stable, harmonious and balanced the art society would become. In an universal trend, the painters were opposing destruction by trying to restore the concept of commencement, visually balancing the radical processes that were taking place – they were creating imaginary “icons” of peace, balance, beauty, and stability, showing the superiority of these concepts; but in this visually attractive world, there was always a concealed dramatic touch related to the existing, objective realm. In the context of world perception, the most important theme for those painters was paradise, and the attempt to look for the “paradise lost” and to reestablish it, which is corroborated by the numerous works depicting this theme. And artists chose the subjects for their paradise from the general paradise theme: animals, plants, religious characters, all equipped with the lightness and immateriality of genesis.” – writes art historian Baia Tsikoridze.

Merab Abramishvili died in 2006 at the age of 53. A second life started for his paintings... Abramishvili’s works are treasured in the Georgian National Museum, in the Museum Ludwig, Cologne, as well as in private collections in Finland and in the USA. His painting “Man-Eater from Kumaon” was presented at Sotheby’s Auction House’s art selling exhibition entitled “Crossroads: Caucasus and Central Asia Contemporary Art” in 2013 and was sold for £ 35,000. This institution is one of the most important financial organizations in London, and among works from up to 50 different artists, “Man-Eater from Kumaon”, a painting that evaded the soviet social realism style, became the favorite painting of Jo Vickery, the exhibition’s curator. The goal of the exhibition was to show the individuality of art and its history in the region – how it evolved in the Soviet Union, then went through the Perestroika period, and got to the contemporary era, in which artists started to find their own distinctive features. In 2014, Abramishvili’s “Paradise” (1993) was presented in Sotheby’s exhibition “Crossroads II: Contemporary Art from Istanbul to Kabul”. The same year, his “Piano” (2003) was sold for £17,000 in the category “European Collection” at Sotheby’s auction “Contemporary Orient”. Two more paintings from the Georgian artist were presented from private Cypriot collections: “Sweet Briar” was sold for £ 30,000, while “Holy Spirit” was sold for £ 41,250.

Merab Abramishvili was an artist who has created an individual poetry of colors in painting, and made Eastern mysticism his signature trait.







” როდესაც 80-იანთა თაობიდან მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები ევროპულ გამოფენებზე გავიდა საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და ავსტრიაში, იმ თბილი და მშვიდი ფერწერის სანახავად, რომელიც ერთი ნახვით გიყვარდება, ერთი და იგივე დამთვალეირებელი რამდენჯერმე მიდიოდა და იქვე ისიც უთქვამთ, რომ „ეს ასკეტურობა არღვევს ყოველგვარ კანონებს და იმისთვის, რომ ნახატები ისე აღიქვა, როგორც მხატვარმა ჩაიფიქრა, უნდა იყო უბრალო ადამიანზე სულ ცოტათი მეტი... “



რას ხასიათ?

- არ ვიცი...

“ბავშვობაში ვეფხვების მომთვინიერებლობა მინდოდა, –
ეს ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე, სამაგიეროდ, ჩემს ბავშვურ
ოცნებებს ტილოზე ვაცოცხლებ.”

– მერაბ, რას ხატავ?

– არ ვიცი... – ასეთი ყოფილა ყოველთვის მისი პასუხი...

ვინც მის სახელოსნოში ერთხელ მაინც ყოფილა, ყველას ახსოვს, თუ როგორ მიჰყვებოდა თხელი ფუნჯით სილუეტურ ხაზს, როგორი გამჭირვალე და ჰაეროვანი ხდებოდა პალიტრა მის ხელში, როგორ ამუშავებდა დეტალებს აკვარელსა თუ ტემპერაში, – „ფოთოლს ფოთოლში ვაჯენო“, – არაერთხელ უთქვამს ხუმრობით და ასეც იყო.

ამბობენ, ბევრს, ძალიან ბევრს მუშაობდა...

აბრამიშვილის ფერწერაზე, რომელიც არქაულ მოზაიკას გაგონებს და სპარსულ მინიატურებთან მიყავხარ, ამბობენ, რომ სხვანაირია ათასი საოცრებით, იმდენად სულიერია და ღრმა სივრცობრივი აღქმით, რომ ძლიერ ენერჯიას აძლევს დამთვალეობას, აჩერებს და მასზე ძლიერად ზემოქმედებს. ამ ხელოვნების ორიგინალურობის განმსაზღვრელი ხდება მისი შინაარსობრივი თუ სტრუქტურული კავშირი შუა საუკუნეების ქართულ ფრესკებთან, ამიტომაც ბიბლიური სიუჟეტები მისი „ხელის ინტელექტმა“ გადაიტანა ნამუშევრებში.

„ეს არის ის, რაც მიზიდავს! ფრესკის სიყვარული მამაჩემის დამსახურებაა, მისი წყალობით ბავშვობიდან გავეცანი საქართველოს ოქროს ფონდს, ხატწერას, დავყავდი ექსპედიციებში. ჩემი ფერწერა შეიძლება ითქვას ხატწერის გადამღერება...“ მხატვრები ერთსა და იმავე თემას რამდენჯერმე უბრუნდებიან და ასეთი პერიოდები მერაბსაც ჰქონდა...

„ბავშვობაში ვეფხვების მომთვინიერებლობა მინდოდა, –
ეს ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე, სამაგიეროდ,

ჩემს ბავშვურ ოცნებებს ტილოზე ვაცოცხლებ.”

გარდა ამისა, ბავშვობაში გატაცებული ვიყავი სათავგადასავლო ლიტერატურით. ეს ლიტერატურა ჩემთვის სოკრატეც იყო და პლატონიც. ასეთი წიგნები ბევრს წაუკითხავს, მაგრამ მათ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს. მოგვიანებით, როდესაც მხატვრად ჩამოვყალიბდი, ბავშვობაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა თავი შემახსენეს და ცხოველების ხატვა დავინწყე. საერთოდ, ცხოველებს დიდ პატივს ვცემ, ხშირად ადამანებზე დიდ პატივსაც, ამიტომ მათი ხატვისას დიდ სიამოვნებას ვიღებ.”

როდესაც 80-იანთა თაობიდან მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები ევროპულ გამოფენებზე გავიდა საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და ავსტრიაში, იმ თბილი და მშვიდი ფერწერის სანახავად, რომელიც ერთი ნახვით გიყვარდება, ერთი და იგივე დამთვალეობის რამდენჯერმე მიდიოდა და იქვე ისიც უთქვამთ, რომ „ეს ასკეტურობა არღვევს ყოველგვარ კანონებს და იმისთვის, რომ ნახატები ისე აღიქვა, როგორც მხატვარმა ჩაიფიქრა, უნდა იყო უბრალო ადამიანზე სულ ცოტათი მეტი...“ მერაბ აბრამიშვილის არქაული სამყაროდან, მისი ჰაეროვანი სილუეტებიდან ნამოსული ენერგეტიკა ნებისმიერზე მოქმედებს.

ასე გაიცნეს 90-იანი წლებიდან ევროპაში ქართველი მხატვარი, თუმცა კარიერაში მისი წარმატებული თავგადასავალი 1987 წელს იწყება. ამ დროს ამთავრებს ფირფიცარზე ტემპერაში ნამუშევარს „300 არაგველი“, რომელშიც არამარტო შინაარსობრივად, არამედ ვიზუალური ლექსიკით გაიხსნა მხატვარი და თავისი ხელწერის განმსაზღვრელი ფორმულა გაშიფრა... მერე ხდება ისიც, რომ 1991 წელს რუსთაველზე მხატვრის სახლი იწვევა აბრამიშვილის 16 ნამუშევართან ერთად. ეს



იყო მხატვრისთვის სულიერი ტკივილი, რომელიც ღია ჭრილობად დარჩა სამუდამოდ... – 16 შვილი დაკარგეო, – ამბობდა თურმე გულდანყვეტილი.

„80-იანელები პროტესტით არ მოსულან, ისინი პოზიციით მოვიდნენ... პოსტსაბჭოთა სივრცეში თითქმის ყველგან, გარემოსადმი პროტესტი რეაქციულად ვლინდებოდა, ანუ ისეთივე აგრესიული, რეფლექსური და პლაკატური იყო, როგორც ობიექტური გარემო... აქ კი პირიქით, რაც უფრო კრიზისული ხდებოდა გარემო, მით უფრო სტაბილური, ჰარმონიული და განონასწორებული იყო მხატვრული სამყარო. მხატვრები, სამყაროს უნივერსალური მოდელით, „სანყისთა“ სრულყოფილების აღდგენით ეწინააღმდეგებოდნენ ნგრევას და ქაოსს, ვიზუალური სახეებით აწონასწორებდნენ რეალობაში მიმდინარე რადიკალურ პროცესებს - გარემოსათვის ქმნიდნენ სიმშვიდის, წონასწორობის, სილამაზის და სტაბილურობის

ილუზორულ ხატებს, აჩვენებდნენ მათ უპირატესობას; თუმცა ამ გარეგნულად და ესთეტიკურად მიმზიდველ სამყაროში, ფარულად ისმოდა ხოლმე ის დრამატიზმი, რაც რეალურ სამყაროში არსებობდა. სამყაროს აღქმის კონტექსტიდან მხატვრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამოთხის თემაა, „დაკარგული სამოთხის“ ძიების და აღდგენის მცდელობა, რასაც ამ თემაზე შესრულებული ნამუშევრების მრავალრიცხოვნება მოწმობს და ამ სამოთხიდან ირჩევს „ობიექტებსაც“ თავისი სურათებისთვის – ცხოველებს და მცენარეებს, რელიგიურ პერსონაჟებს – პირველქმნადობის სიმსუბუქით და არასხეულებრივობით აღჭურვილთ.“ – წერს ხელოვნებათმცოდნე ბაია ნიქორიძე.

2006 წელს მერაბ აბრამიშვილი 53 წლისა გარდაიცვალა... და დაიწყო მისი ფერწერის მეორე ცხოვრება... მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და გერმანიის



ქალაქ კიოლნის ლუდვიგის მუზეუმში, ასევე ფინეთისა და აშშ-ს კერძო კოლექციებში. ცალკე წარმატება მის ბიოგრაფიაში Sotheby's აუქციონმაც განსაზღვრა: სოტბის სააუქციონო სახლის გამოფენაზე „გზაჯვარედინები: კავკასიური და ცენტრალური აზიის თანამედროვე ხელოვნება“ (2013) აბრამიშვილის „კუმონის კაციჭამია“ (2005 წ.) მოხვდა, რომელიც ამავე პლატფორმაზე 35 000 ბრიტანულ ფუნტად გაიყიდა.

ლონდონის ამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური ორგანიზაციის გამოფენა-გაყიდვაზე 50-მდე მხატვრის ნამუშევარს შორის მერაბ აბრამიშვილის „კუმონის კაციჭამია“, ანუ საბჭოთა რეალისტურ მანერას აცდენილი ტილო გამოფენის კურატორის ჯოანა ვიკერის ფავორიტად იქცა. ექსპოზიციის მიზანი იყო ეჩვენებინათ მხატვრობის ინდივიდუალობა თავისი ისტორიით – თუ როგორ ვითარდებოდა საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული,

რომელმაც გამოიარა „პერესტროიკის“ პერიოდი და მოვიდა თანამედროვეობამდე, როდესაც მხატვრებმა დაიწყეს საკუთარი ხელწერის მიგნება. 2014 წელს აბრამიშვილის „სამოთხე“ (1993 წ.) სოტბის სააუქციონო სახლის გამოფენაზე „გზაჯვარედინი 2: თანამედროვე ხელოვნება სტამბოლიდან ქაბულამდე“ – კვლავ მოხვდა.

2013 წელსვე Sotheby's აუქციონზე: „თანამედროვე აღმოსავლეთი“ აბრამიშვილის „პიანინო“ (2003 წ.) ევროპული კოლექციიდან 17000 ფუნტად გაიყიდა.

ამის შემდეგ ქართველი ფერმწერის კვიპროსის კერძო კოლექციიდან წარმოდგენილი კიდევ ორი ნამუშევარი – „ასკილი“ 30000 ბრიტანულ ფუნტად, ხოლო „სულიწმინდა“ - 41250 ფუნტად გაიყიდა.

მერაბ აბრამიშვილი იყო მხატვარი, რომელმაც ფერწერაში შექმნა ფერის პოეტიკა, აღმოსავლური მისტიკა კი გახდა მისი ხელწერის თანამგზავრი.